N 19342/09

Asp-Group LTD

Digitally signed by Asp-Group LTD
Date: 2022.11.07 18:07:32 +04'00'

07/11/2022

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 424/2022

ქ. თბილისი

ერთი მხრივ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტო (შემდგომში "შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი უფროსის ზურაბ ჩეკურაშვილის სახით და მეორე მხრივ შპს ასპ-გრუპი (შემდგომში "მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი დირექტორის, დავით კეჟერაშვილის სახით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „თ" ქვეპუნქტისა და „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლის პირველის პუნქტის „თ" ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინთა განმარტებები

1.1. "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ - "ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. "ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისთვის.

1.3. "დღე", "კვირა", "თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. "მომსახურება" - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტოს კუთვნილი ავტოსატრანსპორტო საშუალებების შეკეთებასთან და ტექნიკურ მომსახურებასთან დაკავშირებული სერვისის (CPV: 50112000) შესყიდვა.

2.2. სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტოს კუთვნილი იმ ავტოსატრანსპორტო საშუალებების მონაცემების ჩამონათვალი, რომელთაც უნდა გაეწიოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება მითითებულია წინამდებარე ხელშეკრულების **დანართი №1-ში.**

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **12 190 ₾ (თორმეტი ათას ას ოთხმოცდაათი ლარი)** საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით.

3.2. ხელშეკრულების დაფინანსების წყარო: **სახელმწიფო ქვეპროგრამა - აზიური ფაროსანას წინააღმდეგ გასატარებელი ღონისძიებები.**

3.3. გასაწევი მომსახურების პრეისკურანტი მოცემულია წინამდებარე ხელშეკრულების **დანართი №2-ში.**

4. მომსახურების გაწევის ვადები, ადგილი და პირობები

4.1. მომსახურება გაწეულ უნდა იქნას ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით;

4.2. ხელშეკრულების დადების შემდეგ, პრეისკურანტში მომსახურების რომელიმე ერთეულის არარსებობისას აღნიშნული ერთეულის ფასი, მისი შესყიდვის აუცილებლობისას, დგინდება

„შემსყიდველსა“ და „მიმწოდებელს“ შორის გაფორმებული შეთანხმების საფუძველზე, საბაზრო ფასის გათვალისწინებით. ასეთ შემთხვევაში პრეისკურანტში შესაბამისი მომსახურების ერთეულის არარსებობით გამოწვეული შესყიდვის ხვედრითი წილი არ შეიძლება აღემატებოდეს მიმწოდებლის პრეისკურანტის ჯამურ ღირებულების 10%-ს.

4.3. მომსახურება გაწეულ უნდა იქნეს შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

4.3.1. შესაკეთებელი ავტომანქანის ტექ-მომსახურების გაწევის ადგილზე **მიყვანისთანავე** შედგება შესაბამისი დოკუმენტი, რომელშიც უნდა დაფიქსირდეს ავტომანქანის რეკვიზიტები და მიყვანის თარიღი.

4.3.2. მიმწოდებელი ვალდებულია, ავტომანქანის ტექ-მომსახურების გაწევის ადგილზე მიყვანიდან **2 (ორი) სამუშაო დღის განმავლობაში**, აცნობოს შემსყიდველს ავტომანქანის შეკეთებისათვის საჭირო მომსახურების ჩამონათვალი, მისი ღირებულების მითითებით (დეფექტური აქტი). თუ მომსახურების გაწევისათვის აუცილებელია დეფიციტური ნაწილის გამოყენება, აღნიშნულის თაობაზე ცალკე უნდა იქნეს მითითებული დეფექტურ აქტში.

4.3.3. დეფექტური აქტის მიღების შემდეგ შემსყიდველი უგზავნის მიმწოდებელს დაკვეთის ფურცელს, რომელშიც ასახული იქნება ავტომანქანაზე გასაწევი მომსახურების ჩამონათვალი.

4.3.4. მიმწოდებელი ვალდებულია თითოეულ ავტომანქანაზე დაკვეთიდან **5 (ხუთი) კალენდარულ დღეში** გასწიოს მომსახურება.

4.3.5. თუ ავტოტექმომსახურება ეხება ძრავის კაპიტალურ რემონტს, სამღებრო-სათუნუქე სამუშაოებს ან დეფიციტური სათადარიგო ნაწილით უზრუნველყოფას შესაძლებელია მომსახურების გაწევის დრო გაიზარდოს, მაგრამ არაუმეტეს 30 კალენდარულ დღემდე.

4.3.6. საცხებ-საპოხი მასალების, ფილტრებისა და სამუხრუჭე ხუნდების შეცვლისას მომსახურება გაწეულ უნდა იქნას ავტომანქანის ტექ-მომსახურების გაწევის ადგილზე **მიყვანისთანავე,** დეფექტური აქტისა და დაკვეთის ფურცლის შედგენის გარეშე.

4.3.7. მომსახურების დასრულებისთანავე, მიმწოდებელი ვალდებულია აცნობოს შემსყიდველს აღნიშნულის შესახებ, რაზეც შემდგომში შედგება მომსახურების გაწევის აქტი. თუ მომსახურების გაწევა დასრულდა არასამუშაო დღეს, მაშინ შემსყიდველისთვის ცნობება უნდა მოხდეს პირველივე სამუშაო დღეს.

4.3.8. მხარეებს შორის ამ მუხლში აღნიშნული დოკუმენტებისა და ინფორმაციის მიწოდება უნდა განხორციელდეს წერილობით ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.

4.4. მომსახურების გაწევის ტერიტორიაა - თბილისი და ფოთი.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს შეამოწმოს მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების პირობების შესრულება;

5.2. შემსყიდველი ვალდებულია გადაიხადოს მომსახურების გაწევის ღირებულება ხელშეკრულების პირობებისა და ვადის გათვალისწინებით;

5.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულების პირობებისა და ვადის გათვალისწინებით;

5.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

5.4.1. გასწიოს მომსახურება დადგენილი ხარისხითა და სტანდარტებით;

5.4.2. განახორციელოს უხარისხოდ შესრულებული მომსახურების ან მისი ნაწილის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე;

6. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

6.1. მომსახურება მიღებულად ჩაითვლება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, რომელსაც შემსყიდველის მხრიდან ხელს აწერს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი ჯგუფი, შემდეგი შემადგენლობით: ტექნიკური მომსახურებისა და ლოჯისტიკის სამმართველოს უფროსი ივანე კირვალიძე და ტექნიკური მომსახურებისა და ლოჯისტიკის სამმართველოს უფროსი სპეციალისტი რამაზ ფონაძე.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1. მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს შემსყიდველის მხრიდან განსაზღვრული კონტროლის განმახორციელებელი ჯგუფი;

7.2. ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი ჯგუფის ფუნქციაა მისაწოდებელი ან/და მიწოდებული მომსახურების მოცულობის, ხარისხისა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

7.3. ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელება შესაძლებელია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელებისთვის აუცილებელი პერსონალის და ტექნიკური საშუალებების გამოყოფა, ასევე უზრუნველყოს საჭირო სამუშაო პირობები.

7.5. ყველა გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოფხვრასთან და კონტროლის ხელახლა განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. გარანტია

8.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ გაწეული მომსახურება იქნება ხარისხიანი და არ გამოავლენს დეფექტებს, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს საგარანტიო პერიოდში გამოვლენილი ყველა დეფექტის და ნაკლის გამოსწორება.

9. ანგარიშსწორება

9.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში, უნაღდო ანგარიშსწორებით.

9.2. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება 10 სამუშაო დღის განმავლობაში მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და სათანადო საგადახდო დოკუმენტების შემსყიდველისთვის მიწოდების თარიღიდან (იმის მიხედვით რომელი უფრო გვიან მოხდება).

10. ფასები.

10.1. გასაწევი მომსახურების ერთეულის ფასები მოცემულია წინამდებარე ხელშეკრულებაზე, დანართი №2-ის სახით თანდართულ პრეისკურანტში.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1. ხელშეკრულების დამდებ არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

11.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

11.3. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

11.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების მე-3 მუხლით განსაზღვრული ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

11.5. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

12.1. მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების გათვალისწინებული ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მას დაეკისრება პირგასამტეხლო არაჯეროვნად შესრულებული ვალდებულების ღირებულების 0.02% ოდენობის შესაბამისი თანხით.

12.2. ხელშეკრულების 4.3. პუნქტით გათვალისწინებული ვადების გადაცდენის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ვადაგადაცილებით მოწოდებული მომსახურების ღირებულების 0.02%-ის შესაბამის თანხით ყოველ გადაცილებულ დღეზე.

12.3. ხელშეკრულების 9.2. პუნქტით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველს დაეკისრება პირგასამტეხლო შესასრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.02%-ის შესაბამის თანხით ყოველ გადაცილებულ დღეზე.

12.4. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში, მას დაეკისრება პირგასამტეხლო შესასრულებელი (დარჩენილი) ვალდებულების ღირებულების 10%-ის ოდენობის შესაბამისი თანხით.

12.5. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მას დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ის ოდენობის შესაბამისი თანხით.

12.6. იმ შემთხვევაში, თუ 12.1. და 12.2. პუნქტების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამურმა თანხამ გადააჭარბა ხელშეკრულების ღირებულების 1%, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

12.7. მიმწოდებელმა პირგასამტეხლოების გადახდა და აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტის შემსყიდველთან წარმოდგენა უნდა უზრუნველყოს წერილობითი შეტყობინებიდან 10 დღის განმავლობაში.

12.8. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

13.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3. თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მიმწოდებელი მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას, შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;

13.4. ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

13.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

14. დაუძლეველი ძალა

14.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დუძლეველი ძალის ზეგავლენით.

14.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი

მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან.
14.3. მხარეთა ვალდებულებები და პასუხისმგებლობა განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

15. სხვა პირობები
15.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2023 წლის 31 იანვრის ჩათვლით.
15.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ელექტრონულად.
15.3. მხარეთა შეთანხმებით სრული საგარანტიო პირობები გავრცელდება 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
ს.ს.ი.პ. - სურსათის ეროვნული სააგენტო	**შპს ასპ-გრუპი**
ს. კ. - 205142200 იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის №6 ფაქტობრივი მისამართი: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის №6 მომსახურე ბანკი : სახელმწიფო ხაზინა ბანკის კოდი - TRESGE22 სახაზინო კოდი : 220101222 ანგარიშის ნომერი: 200122900	ს. კ. - 406217721 მიმღები ბანკი: პროკრედიტ ბანკი ბანკის კოდი: MIBGGE22 ანგარიშის ნომერი: GE02PC0133600100066056 მის.: ქ. თბილისი, ჯავახეთის #142 დირექტორი: დავით კეჟერაშვილი
სააგენტოს უფროსი **ზურაბ ჩეკურაშვილი** _____	**დირექტორი** _____ **დავით კეჟერაშვილი**

დანართი №1

№	ავტომანქანის დასახელება/მოდელი	სახელმწიფო ნომერი
1	ტერალორდ ZXAUTO	NF-301-AG
2	ტერალორდ ZXAUTO	NF-302-AG
3	ტერალორდ ZXAUTO	NF-303-AG
4	ტერალორდ ZXAUTO	NF-304-AG
5	ტერალორდ ZXAUTO	NF-305-AG
6	ტერალორდ ZXAUTO	NF-306-AG
7	ტერალორდ ZXAUTO	NF-307-AG
8	ტერალორდ ZXAUTO	NF-308-AG
9	ტერალორდ ZXAUTO	NF-309-AG
10	ტერალორდ ZXAUTO	NF-310-AG
11	ტერალორდ ZXAUTO	NF-311-AG
12	ტერალორდ ZXAUTO	NF-312-AG
13	ტერალორდ ZXAUTO	NF-313-AG
14	ტერალორდ ZXAUTO	NF-314-AG
15	ტერალორდ ZXAUTO	NF-315-AG
16	ტერალორდ ZXAUTO	NF-316-AG
17	ტერალორდ ZXAUTO	NF-317-AG
18	ტერალორდ ZXAUTO	NF-318-AG
19	ტერალორდ ZXAUTO	NF-319-AG
20	ტერალორდ ZXAUTO	NF-320-AG

დანართი N2 (ტერალორდ ZXAUTO)

№	მომსახურების სია	საზომი ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო ღირებულება
1	წინა კარდანი Terralord	ცალი	2	1270	2540
2	წინა ხიდის ჩამრთველი სენსორი	ცალი	5	312	1560
3	ხუნდების კომპლექტი მარჯვენა	ცალი	21	190	3990
4	ხუნდების კომპლექტი მარცხენა	ცალი	21	190	3990
5	წინა კარდანის შეცვლა	ცალი	1	50	50
6	წინა ხუნდების კომპლექტის შეცვლა	კომპლექტი	2	30	60
				სულ:	12 190

შემსყიდველი	მიმწოდებელი
სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო	შპს ასპ-გრუპი
ს. კ. 205 142 200	ს. კ. 406 217721
სააგენტოს უფროსი	დირექტორი
ზურაბ ჩეკურაშვილი	დავით კეჟერაშვილი

ზურაბ ჩეკურაშვილი

სააგენტოს უფროსი
სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო